სამართალი

ყოველკვირეული საგაზეთო ჩანართი

6 ივნისი, 2011 წელი, №64

შემოსავლების სამსახურმა სასამართლო დავა წააგო



ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ინდივიდუალური მეწარმის მიმართ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი არასწორად იყო შედგენილი როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. მისი დაჯარიმება მოხდა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით.

2

საბანკო დავა მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიამ დაასრულა გიორგი მ-ს სარჩელის განხილვა. იგი "საქართველოს ბანკს" მისთვის უკანონოდ ჩამოჭრილი თანხის 4093.22 დოლარის დაბრუნებას ითხოვდა.

2

დაკმაყოფილებული სარჩელები

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა მოქალაქეთა სარჩელები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიმართ.

2

მართლმსაჯულების ნდობის ხარისხი

გამოკითხულ სასამართლოს მომხმარებელთა 75 პროცენტი სასამართლოს ენდობა

2 მაისიდან 18 მაისის ჩათვლით საქართველოს 5 რაიონულ და 3 საქალაქო სასამართლოში მომხმარებელთა კვლევა ჩატარდა. კვლევის შედეგების მიხედვით, სასამართლოში მისული მოქალაქეების დიდი ნაწილი სისტემის მიმართ მაღალ ნდობას აფიქსირებს.



სულ გამოიკითხა 3787 რესპოდენტი. კითხვები ძირითადად, სასამართლოში არსებულ გარემოს, თანამშრომელთა დამოკიდებულებას მოქალაქეებისადმი, საქმის განხილვის ვადებს და სასამართლოს მიმართ ნდობის ხარისხს შეეხებოდა.

კვლევის მიმდინარეობას საერთაშორისო ორგანიზაციების NORLG, ABA, UNDP-ის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ.

გამოკითხული მოქალაქეების 86 პროცენტი მიიჩნევს, რომ სასამართლოში მას დროულად გაუწიეს მომსახურება. 90,7 პროცენტი კი აცხადებს, რომ სასამართლოდან დროულად მიაწოდეს ის ინფორმაცია, რომელსაც ითხოვდა. სასამართლოს მოხელეთა თავაზიანობას, როგორც ძალიან კარგი, აფასებს გამოკითხულთა 60,2 პროცენტი, კარგი - 33,7. მოქალაქეების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი სასამართლოს მოხელეთა თავაზიანობას აფასებს, როგორც საშუალო (5,3), ცუდი (0,5) და ძალიან ცუდი (0,2).

გამოკითხული მოქალაქეების 82,5 პროცენტი მიიჩნევს, რომ მისი საქმე სასამართლოში დროულად გადაწყდა.

რაც შეეხება სასამართლოს მიმართ ნდობას, გამოკითხული სასამართლო მომხმარებლების 75 პროცენტი აცხადებს, რომ ენდობა სასამართლოს, ხოლო ნაწილობრივ ნდობას სასამართლოს მიმართ 16 პროცენტი აფიქსირებს. შესაბამისად, შემცირებულია იმ ადამიანთა

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ცვლილება საგადასახადო კოდექსში

რომელიც ბიზნესისთვის დამატებით შეღავათებს აწესებს

ადმინისტრაციული სამართალწარმოების ერთ-ერთი აქტუალური თემა საგადასახადო დავებია, რომელიც, როგორც სასამართლო სტატისტიკით ირკვევა, ბოლო პერიოდში სწორედ კერძო თუ იურიდიული პირის გამარჯვებით სრულდება. მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებულ პირს კანონმდებლობით შეუძლია საგადასახადო დავა დაიწყოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, მას ასევე კანონი აძლევს უფლებას, დავის ნებისმიერ ეტაპზე მიმართოს სასამართლოს და სწორედ, ამ გზით დაამტკიცოს საკუთარი სიმართლე, რითაც აიცილებს მოსალოდნელ ჯარიმას, რაც ხშირად ბევრი მეწარმისთვის სავალალო შედეგით სრულდება.

"საქართველოს საგადასახადო კოდექსით" შემოსავლების სამსახურის მიერ მომჩივნისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მომჩივანს უფლება აქვს გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივროს დავების განხილვის საბჭოში ან სასამართლოში. ხოლო დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში შეუძლია სასამართლოში გააპროტესტოს. იმ შემთხვევაში კი თუ მომჩივანს ან მოპასუხე სახელმწიფო სტრუქტურას არ დააკმაყოფილებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, მას შეუძლია მიმართოს სააპალაციო და საკასაციო სასამართლოებს.

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის თანახმად 2010 წელს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ სულ განიხილა საგადასახადო დავებზე 222 საკასაციო საჩივარი, აქედან საგადასახადო ორგანოების შეტანილი ჰქონდა 100 საჩივარი, ხოლო ფიზიკურ და იურიდიული პირებს 108. 9 საქმეზე კი საჩივარი შეტანილია ორივე მხარის მიერ. აქედან, 100 საქმე დამთავრდა საგადასახადო ორგანოების

გაგრძელება მე-4 გვერდზე

დაკმაყოფილებული სარჩელები

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა სოფიკო ტუფურიას სარჩელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს აფხაზეთის სამსახურის გალის განყოფილებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიმართ.

სასამართლომ ბათილად ცნო მოსარჩელის დაბადების ორი არსებული სააქტო ჩანაწერიდან ერთ-ერთი, რომელიც მოსარჩელის დაბადების თარიღთან დაკავშირებით არასწორ მონაცემს შეიცავდა - 1982 წლის ნაცვლად 1980 წელს. ორივე სააქტო ჩანაწერის საფუძველი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის თაობაზე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იყო.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა ბოლო სასამართლო გადაწყვეტილების მონაცემებით და აღნიშნული სარჩელი დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კიდევ ერთი გადაწყვეტილებით, ასევე დაკმაყოფილდა მოქალაქე ედუარდ მარქარიანის სარჩელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიმართ. მოქალაქე იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ითხოვდა, რომლითაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ ედუარდ მარქარიანს უარი უთხრა დაბადების სააქტო ჩანაწერში დაბადების თარიღის - 17 იანვრის, 18 იანვრით შესწორებაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქმეში არსებული მასალებითა და მოწმეთა ჩვენებებით და მიიღო გადაწყვეტილება მოქალაქის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა ჯემილა დევდარიანის სარჩელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიმართ.

სასამართლომ ბათილად ცნო მოსარჩელის დაბადების ორი, არსებული სააქტო ჩანაწერებიდან ერთ-ერთი, რომელიც არასწორ მონაცემს შეიცავდა მოსარჩელის დაბადების თარიღთან დაკავშირებით - 1993 წლის ნაცვლად 1994 წელს. ორივე სააქტო ჩანაწერის საფუძველს წარმოადგენდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის თაობაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქმეზე მოგვიანებით მიღებული, უკანასკნელი გადაწყვეტილების მონაცემებით, ასევე - მოწმის ჩვენებით და სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემიდან 14 დღის ვადაში.

შემოსავლების სამსახურმა სასამართლო დავა წააგო

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ აპელანტ მარინე გოშაძის სარჩელი დააკმაყოფილა და მას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ დაკისრებული ჯარიმა მოუხსნა.



საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობისათვის საგადასახადო სამსახურის მუშაკებმა ინდმეწარმე ჯერ 5 000 ლარით დააჯარიმეს, შემდეგ იმავე სამსახურში დარიცხული თანხა 500 ლარამდე შეუმცირეს.

მარინე გოშაძემ ჯარიმის მოხსნის მოთხოვნით ჯერ ფინანსთა სამინისტროსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, შემდეგ კი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ბათილად ცნო ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ინდმეწარმე მარინე გოშაძე საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობისათვის დაჯარიმდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ინდივიდუალური მეწარმის მიმართ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი არასწორად იყო შედგენილი როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. მისი დაჯარიმება მოხდა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, რის საფუძველზეც, აპელანტ მარინე გოშაძეს შემოსავლების სამსახურის მიერ დაკისრებული ჯარიმა მოეხსნა.

შემოსავლების სამსახურისა და ინდმეწარმე "ელგუჯა მერკვილაძის" დავა სასამართლომ ასევე, კერძო პირის სასარგებლოდ გადაწყვიტა. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დაკისრებული 11 299 ლარის დავალიანება ინდმეწარმემ ჯერ ზესტაფონის რაიონულ, შემდეგ კი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. აპელანტის მტკიცებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ ჰქონდა ადმინისტრაციული ორგანოს შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ აპელანტის საჩივარი დასაბუთებულად მიიჩნია და არ დააკმაყოფილა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის შუამდგომლობა მეწარმის დაყადაღებული ქონების რეალიზაციაზე.

"რამდენადაც ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭომ ინდმეწარმე ელგუჯა მერკვილაძის საჩივარი საგადასახადო მოთხოვნის გადახედვის თაობაზე განსახილველად დაუბრუნა შემოსავლების სამსახურს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ინდმეწარმის მიერ საგადასახადო დავალიანება აღიარებული არ ყოფილა. შესაბამისად, მისი დაყადაღებულიქონება რეალიზებას არ ექვემდებარება," - ასეთი არგუმენტირებული გადაწყვეტილება გამოიტანა სააპელაციო სასამართლომ.

საბანკო დავა მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიამ დაასრულა გიორგი მ-ს სარჩელის განხილვა. იგი "საქართველოს ბანკს" მისთვის უკანონოდ ჩამოჭრილი თანხის 4093.22 დოლარის დაბრუნებას ითხოვდა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდა მოპასუხის კლიენტს და სარგებლობდა, როგორც სალარო, ისე სავალუტო ანგარიშებითა და სხვადასხვა პროდუქტებით. 2010 წლის 17 აგვისტოს მის პირად ანგარიშზე ჩაირიცხა 5 000 დოლარი, საიდანაც მალევე მისთვის ხელმიუწვდომელი გახდა დაახლოებით 4 000 დოლარი.

მოსარჩელემ სარჩელში აღნიშნა, რომ 2010 წლის 13 სექტემბრამდე იგი ყოველდღიურად მიმართავდა ბანკს, რომ მოეგვარებინათ აღნიშნული საკითხი, რამდენადაც თანხის ხელმიუწვდომლობა დიდ ზიანს აყენებდა მას.

მოსარჩელის განმარტებით, საბანკო ამონაწერით დგინდება, რომ მისი ანგარიშიდან ჩამოიჭრა 4 093, 22 აშშ დოლარი და საფუძვლად მიეთითა, სხვა ბანკიდან რეფინანსირების საკომისიო 4 პროცენტის დაფარვა.

მოპასუხემ თავის წერილში მიუთითა, რიომ ზემოაღნიშნული ტრანზაქციის საფუძველი იყო მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება. ამასთან, წერილში ასევე მიუთითა, რომ სხვა ბანკიდან კრედიტის რეფინანსირება გულისხმობს სხვა საფინანსო დაწესებულებიდან სესხის მიღების საფუძველზე "საქართველოს ბანკში" არსებული სესხის დაფარვას.

სასამართლო სხდომებზე, მოპასუხის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული მის მიერ მოსარჩელის შესაბამისი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის საფუძველი, ვერ იქნა წარმოდგენილი მოსარჩელის ნებართვა ან თანხმობა. მოპასუხის მიერ ასევე ვერ იქნა დასაბუთებული, რომ მოსარჩელის მიერ შესაბამისი ვალდებულების შესრულება მოხდა სს "თიბისი ბანკი"-დან რეფინანსირების საფუძველზე. მოპასუხემ ასევე ვერ მიუთითა სასამართლოს მის მიერ მოსარჩელის საბანკო ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის სხვა საფუძველი, რაც მას უფლებას მისცემდა იგი განეხორციელებინა მოსარჩელის განკარგულების ან თანხმობის გარეშე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოადგენდა საკმარის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძველს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

შესაბამისად, გიორგი მ-ს სარჩელი "საქართველოს ბანკი"-ს მიმართ დაკმაყოფილდა და მოპასუხე - "საქართველოს ბანკს" მოსარჩელე გიორგი მ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 4 093.22 დოლარის გადახდა.

ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელი და შემცირებული სასჯელი

აპელანტ ვ. ბ-ს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მსჯავრი თაღლითობისთვის დასდო. მსჯავრდებულმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და სასჯელის შემცირება ითხოვა.

საქმის მასალების მიხედვით, ვ.ბაღათურიამ არა ერთხელ თაღლითური გზით მიისაკუთრა სხვისი კუთვნილი თანხა. მსჯავრდებულმა სოფელ ანაკლიაში, თავის საკუთრებაში რეალურად არარსებული მიწის ნაკვეთი 2000 დოლარად გაყიდა. მანვე, ანაკლიაში, ზღვის სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთი მფლობელის მოტყუებით 5500 დოლარად გასხვისა, მეპატრონეს კი მხოლოდ 2000 დოლარი მისცა.

საქმის მასალების შესწავლის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ ვ.ბ-ს ბრალი დადასტურებულად ჩათვალა. პალატამ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხი და სასჯელის ერთი მესამედი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლაზე აპელანტის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებებიც და მსჯავრდებულს სანქციის ფარგლებში მინიმალური სასჯელი დაუნიშნა. ჩადენილი დანაშაულისთვის ვ.ბ-ს 6 წელი მიესაჯა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვისათვის მსჯავრდებულს სასჯელი შეუმცირა. მარტვილის რაიონული სასამართლოს განაჩენით, ე.გ-ს 6-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. მსჯავრდებულმა სააპელაციო საჩივრით მეორე ინსტანციის სასამართლოს მიმართა და დადებულ მსჯავრში გამართლება ითხოვა.

სააპელაციო პალატამ სრული მოცულობით შეამოწმა სისხლის სამართლის საქმე და სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა. უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სასამართლომ ე.გ-ს ბრალეულობა დადასტურებულად ცნო. რაიონული სასამართლოს განაჩენის მსჯავრდებულის სასარგებლოდ შეცვლის მოტივი კი მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები გახდა.

"სასამართლო ითვალისწინებს მსჯავრდებულ ე.გ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს, რომ მისი ოჯახი განეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას და რომ არ არის ნასამართლევი. ასევე, სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის მიზანს და თვლის, რომ ე.გ-ს საქართველოს სს კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით შეფარდებული სასჯელი უნდა შეუმცირდეს 1 წლით," - აღნიშნულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში.

მართლმსაჯულება

მართლმსაჯულების ნდობის ხარისხი

პირველი გვერდიდან

ენდობით თუ არა სასამართლოს? (%)

რაიონი	ვენდობი	ნაწილობრივ ვენდობი	უფრო არ ვენდობი	არ ვენდობი	მიჭირს პასუხის გაცემა
გორი	71,2	16,9	1,5	8,8	1,5
მცხეთა	69,3	22,1	2	5,3	1,2
რუსთავი	70,2	16,4	1,8	9,9	1,6
ქუთაისი	71,4	21,8	3,6	2,4	0,8
ზუგდიდი	87,7	11,9	0,1	0,3	
ბათუმი	68	16,9	2,8	10,9	1,5
ხელვაჩაური	70,1	15,1	0,5	7,9	6,3
ოზურგეთი	89	8,1	0,3	1	1,6

შედარებითი ანალიზი რაიონებისთვის (%)

რაიონი	მაისი, 2010	მაისი, 2011
გორი	57,7	71,2
მცხეთა	59,2	69,3
რუსთავი	65,1	70,2
ქუთაისი	62,4	71,4
ბათუმი	44,7	68
ხელვაჩაური	46,1	70,1

რიცხვი, რომლებიც არ ენდობიან სასამართლოს. გამოკითხული 3787 რესპოდენტიდან მხოლოდ 15,6 პროცენტი ამბობს, რომ არ ენდობა სასამართლოს, 1,7 პროცენტი - უფრო არ ენდობა, ხოლო ამ კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა გამოკითხულთა 1,6 პროცენტმა.

ზუსტად ერთი წლის წინ, 2010 წლის წლის მაისში ანალოგიური ტიპის გამოკითხვა USAID-ისა და უზენაესი სასამართლოს მიერ ჩატარდა. მაშინ გამოკითხულთა 53 პროცენტი აცხადებდა, რომ ისინი ენდობოდნენ სასამართლოს.

2010 წლის ნოემბრისთვის, იმავე ორგანიზაციის დაკვეთით, კომპანია IPM-მა ჩაატარა სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვა, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უკვე გამოკითხულთა 60 პროცენტი ენდობოდა. კვლევების ანალიზის მიხედვით, სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობა სტაბილურად იზრდება, რაც დადასტურდა კიდეც ბოლო გამოკითხვით.

2011 წლის მაისში გამოკითხული მომხმარებლების 75 პროცენტი აცხადებს, რომ ისინი ენდობიან სასამართლოს.

სასამართლო ხელისუფლება ამ ფაქტს, მოსამართლეთა და მოხელეთა მუდმივი გადამზადებით, კვალიფიკაციის ამაღლებით, მოსამართლეთა ობიექტურობით, და ასევე, სასამართლოში მოსული მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნით და შესაბამისად, მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებით ხსნის.

კანონმდებლობა

საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაცია

კონკრეტულად რა ღონისძიებებს ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა საშიში ნივთიერებებით ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, ქონებისთვის, გარემოს, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ობიექტებისთვის მიყენებული ზიანისთვის? როგორია ასეთ შემთხვევებში პასუხისმგებლობა და კანონონი რას ითვალისწინებს დამაბინძურებელი საშიში ნივთიერების შემდგომი გავრცელების შესაჩერებლად - ამ საკითხებს წლების წინ მიღებული კანონი არეგულირებს, რომელიც საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციას ითვალისწინებს.

საშიში ნივთიერებაა ელემენტი, რთული ნივთიერება ან ნაერთი, მათ შორის, ნავთობი, ბუნებრივი გაზი და მისგან გამოყოფილი სხვა გაზები და ისეთი ნივთიერებები, რომლებმაც, პირდაპირ ან გარემოსა და ცოცხალ ორგანიზმებში დაგროვების შედეგად, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ ადამიანს, გარემოსა და ქონებას.

დაბინძურებად ითვლება საშიში ნივთიერების განთავსება, გამოშვება, გადაღვრა, გაჟონვა, გადატუმბვა, დაღვრა, დაცლა, გარემოში გადაყრა, მათ შორის, საშიში ნივთიერების შემცველი კონტეინერების, ცისტერნების და სხვა დახურული სათავსოების მიტოვება ან დაცლა.

საშიში ნივთიერებით ზიანის თავიდან ასაცილებლად, კანონი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ შეტყობინებისა და სახელმწიფო ორგანოების ინფორმირებას ითვალიწინებს. კომპენსაციის გადახდა ეკისრება და პასუხისმგებელია პირი, რომელიც საშიში ნივთიერების წარმოების, გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების, გამოყენების ან განთავსების დროს საშიში ნივთიერებით აბინძურებს გარემოს. აგრეთვე, პირი, რომელიც ფლობს ან აკონტროლებს საშიშ ნივთიერებას, ასევე პირი, რომელიც სხვა პირის სახელით ახორციელებს საშიში ნივთიერების წარმოებას, გადამუშავებას, შენახვას, ტრანსპორტირებას, გამოყენებას ან განთავსებას.

«საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ» კანონი პასუხისმგებელ პირს ზიანის კომპენსაციას ავალდებულებს. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს იმ ზიანის კომპენსაცია, რომელიც მიაყენა სხვა პირს ან ტერიტორიას. პასუხისმგებელი პირი ასევე ვალდებულია კომპენსაცია გადაიხადოს პირის ტრავმის ან გარდაცვალების შემთხვევაში. პასუხისმგებელმა პირმა ზიანის კომპენსაცია უნდა გადაიხადოს მესაკუთრის, დამქირავებლის ან მომხმარებლის შემოსავლისთვის მიყენებული ეკონომიკური ზიანისთვის, მათ შორის, წყლის რესურსების, ნიადაგის, შენობა-ნაგებობებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის მიყენებული ზიანისთვის.

კანონი პასუხისმგებელი პირებისთვის ერთობლივ კომპენსაციასაც ითვალისწინებს. თუ საშიში ნივთიერებით დაბინძურება ხდება ორი ან მეტი წყაროდან, თითოეულ დაბინძურების წყაროზე პასუხისმგებელი პირები ერთობლივად და უპირობოდ ვალდებულნი არიან გადაიხადონ ზიანის კომპენსაცია. თუმცა, თუ რომელიმე პასუხისმგებელი პირი დაამტკიცებს, რომ მის საკუთრებაში არსებული ან მის მიერ კონტროლირებადი დაბინძურების წყაროდან გამოყოფილმა საშიშმა ნივთიერებამ გამოიწვია მხოლოდ ზიანის ნაწილი, იგი გადაიხდის ზიანის მხოლოდ ამ ნაწილის კომპენსაციას. პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ერთობლივად ფლობენ ან აკონტროლებენ საშიშ ნივთიერებას, ამ ნივთიერებით დაბინძურების შემთხვევაში, ერთობლივად და უპირობოდ ვალდებულნი არიან გადაიხადონ ზიანის კომპენსაცია.

ზოგიერთ შემთხვევაში, კანონი პასუხისმგებელ პირებს მიყენებული ზიანის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებისგან ათავისუფლებს. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუკი ზიანი მიყენებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობით; თუ დამაბინძურებელი საშიში ნივთიერების ოდენობა არ აჭარბებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სათანადო ნებართვით, ლიცენზიით ან სხვა დოკუმენტით განსაზღვრული საშიში ნივთიერებით დაბინძურების დასაშვებ ოდენობას იმ ადგილისთვის, სადაც მოხდა დაბინძურება.

პასუხისმგებელი პირი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს ზიანის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებისგან, თუ ზიანი გამოწვეულია გარდაუვალი ბუნებრივი მოვლენებით და იმ შემთხვევაშიც, თუკი ის წინასწარ ვერ განსაზღვრავდა ამ ქმედებას ან მოვლენას; პასუხისმგებელი პირი ასევე თავისუფლდება ზიანის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებისგან, თუკი აღმოჩნდება, რომ მან წინასწარ მიიღო ყველა ზომა ამ ქმედებით ან მოვლენით გამოწვეული დაბინძურების შეჩერების ან დაბინძურების შედეგების შემცირების მიზნით, მათ შორის, გამოიყენა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საუკეთესო ტექნოლოგიები.

სასამართლო ქრონიკა

სასამართლომ მოქალაქის სარჩელი დააკმაყოფილა

გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა მოქალაქე ნანული ჟუჟნიაშვილის სარჩელი, რომელიც მან "სოციალური მომსახურების სააგენტოს" გორის სოციალური მომსახურების ცენტრის წინაღმდეგ შეიტანა. სასამართლომ ბათილად ცნო 2011 წლის 4 აპრილის აქტი, რომლითაც "სოციალური მომსახურების სააგენტოს" გორის სოციალური მომსახურების ცენტრმა ნანული ჟუჟნიაშვილისთვის შრომითი სტაჟის მიხედვით დანამატის გაცემაზე უარი განაცხადა; გორის სოციალური მომსახურების ცენტრს დაევალა, გასცეს საპენსიო დანამატი ნანული ჟუჟნიაშვილის მიმართ ყოველთვიურად 10 ლარის ოდენობით 2011 წლის 22 მარტიდან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ "შრომის სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსიის დანამატის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 აგვისტოს 181-ე დადგენილების 1 მუხლის მე-2 ნაწილით, შრომითი სტაჟის დასადასტურებლად მიიღება ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც გასცემს კომპეტენტური ორგანო და იგი მოიცავს საჭირო ინფორმაციას პირის შრომითი საქმიანობის პერიოდის შესახებ; ნანული ჟუჟნიაშვილის მიერ გორის სოციალური მომსახურების ცენტრში წარდგენილი ცნობით კი უდავოდ დგინდებოდა, რომ ნანული ჟუჟნიაშვილი 1979 წლიდან 2010 წლის 1 სექტემბრამდე მუშაობდა ერედვის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბიბლიოთეკარად და აქედან გამომდინარე, მას არასწორად ეთქვა უარი შრომის სტაჟის მიხედვით საპენსიო დანამატის გაცემაზე.

გორის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ კიდევ ერთი საქმე განიხილა. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები გოჩა მღებრიშვილის, გელა თანდიაშვილის, ალექსი მექვაბიძისა და არსენ ავაზნელის მიმართ.

საქმის მასალების მიხედვით, ამ პირებმა დაარღვიეს თევზჭერის წესები, კერძოდ, გოჩა მღებრიშვილი, ალექსი მექვაბიძე და არსენ ავაზნელი თევზაობდნენ მდინარე მტკვარში 2011 წლის 22-30 მარტსა და 2 აპრილს მოსასმელი, "ხორხი" და ჩოგანბადით, ხოლო გელა თანდიაშვილი - მდინარე ლიახვზე ე. წ. ხორხი ბადით, ალექსი მექვაბიძესა და გოჩა მღებრიშვილს დაჭერილი ჰქონდათ 1 კგ ღორჯოს ჯიშის თევზი.

ქმედება ითვალისწინებს ჯარიმას 400-დან 1 000 ლარამდე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებული თევზის და სამართალდარღვევის იარაღისა და წყლის სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ.

სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხსენებულ პირებს არ დაურღვევიათ "ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული თევზჭერის წესები; სასამართლომ დადასტურებულად არ მიიჩნია, რომ ეს პირები თევზაობდნენ ან აკრძალულ დროს და ადგილას, ან აკრძალული საშუალებით, ან აკრძალული სახეობის თევზი ჰყავდათ მოპოვებული.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ მიმართ აღძრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები შეწყდა და ისინი გათავისუფლდნენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან.

საკანონმდებლო ცვლილება

ცვლილება საგადასახადო კოდექსში

პირველი გვერდიდან

სასარგებლოდ, 101 საქმე ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ, 1 საქმე დამთავრდა მორიგებით 15 საქმე ხელახლა განხილვისათვის დაბრუნდა სააპელაციო ინსტანციაში, მათგან 9 საქმე გადაწყდა საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ, 6 საქმე კი ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ.

მართალია, კანონმდებლობა საგადასახადო ორგანოს აძლევს უფლებას პირის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ ქონებას დაადოს ყადაღა, ვიდრე იგი არ დაფარავს საგადასახადო დავალიანების, მაგრამ იმავე კანონმდებლობით საგადასახადო ორგანოს ეკრძალება სასამართლოს განხილვის გარეშე ამ ქონების რეალიზაცია. "საქართველოს საგადასახადო კოდექსით", პირის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე საგადასახადო ორგანო შუამდგომლობით სასამართლოს მიმართავს საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრების ვადის გასვლიდან 10 დღის შემდეგ.

როგორც ბოლო პერიოდის ანალიზმა აჩვენა, საგადასახადო ორგანოებში და სასამართლოში დაწყებული დავების ერთ-ერთი მიზეზი არის მაღალი საჯარიმო სანქციები, რომელსაც "საგადასახადო კოდექსი" ითვალისწინეს და რისი დაფარვაც ხშირ შემთხვევაში კერძო და იურიდიული პირებისთვის არცთუ იოლია. სწორედ ამ მიზეზების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შეამციროს საბაჟოს გვერდის ავლით, პროდუქციის შემომტანისათვის ჯარიმის მოცულობა და ამით ბიზნეს დამატებითი შეღავათები მისცეს. ცვლილებათა პაკეტი მომზადებულია და იგი უახლოეს დღეებში წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ შემსუბუქდეს "საგადასახადო კოდექსის" 289-ე მუხლის მე-3 და მე-9 და სხვა დებულებებში დათქმული ნორმები, რითაც შემცირდება ფიზიკური პირისთვის ჯარიმის მოცულობა.

"საქართველოს საგადასახადო კოდექსის" 289 მუხლი არეგულირებს საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული ჯარიმებს. ამ მუხლის თანახმად, თუ პირი საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების დეკლარირების ან გამოცხადების ვადებს დაარღვევს, იგი დაჯარიმდება ყოველ დაგვიანებულ სრულ (არასრულ) დღეზე 100 ლარით, მაგრამ არა უმეტეს 1 500 ლარისა. საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნა ან განადგურება სატრანსპორტო საშუალებაში ან შენობა-ნაგებობაში იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 5 000 ლარით, ხოლო ყოველ შემდგომ განმეორებაზე 10 000 ლარით. სასაქონლო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანა, რის შედეგადაც არასრულად ან არასწორად აღიწერება დეკლარირებული საქონელი ისჯება 200-ლარიანი ჯარიმით. არასატარიფო ღონისძიებების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა კი იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, განმეორებით შემთხვევაში კი - 1 000 ლარით. ამავე კანონით, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილება კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ისჯება საქონლის სატარიფო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1 000 ლარისა, ან ამ საქონლის ჩამორთმევით. იგივე დანაშაული განმეორებით ჩადენის შემთხვევაში დაწესებულია საქონლის სატარიფო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით ჯარიმა, მაგრამ არანაკლებ 4 000 ლარისა. ხოლო საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების მიერ კონტროლის ზონის დატოვება ისჯება 1 000 ლარის ოდენობით, განმეორებით კი 2 000 ლარით.

გარდა ამ საკითხებისა, "საქართველოს საგადასახადო კოდექსის" 289 მუხლის მესამე ნაწილი, დღეს მოქმედი ვერსიით, ადგენს საჯარიმო ნორმებს დეკლარანტის ან წარმომადგენლის მიერ სასაქონლო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის ან ექსპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირებისას. კერძოდ, კანონით ეს დანაშაული იწვევს პირის დაჯარიმებას დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის ან ექსპორტის გადასახდელების თანხის 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1 000 ლარისა, ხოლო ყოველ შემდგომ განმეორებაზე - 200 პროცენტით, მაგრამ არანაკლებ 2 000 ლარისა. 289-ე მუხლის მეცხრე ნაწილით კი, სასაქონლო ოპერაციების პირობების დარღვევა იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 500 ლარით, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით 1 000 ლარით.

მთავრობის ინიციატივა "საქართველოს საგადასახადო კოდექსის" საკანონმდებლო ცვლილების შესახებ სწორედ ამ და სხვა დებულებეს შეეხება.

როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი განმარტავს: **"თუ დღევანდელი კანონმდებლობით დეკლარაციაში შემცირებული იმპორტი ჯარიმდება საქონლის ღირებულების 100 პროცენტით, ამიერიდან ფიზიკური პირი დაჯარიმდება საქონლის ღირებულების მხოლოდ 40 პროცენტით, ესეც იმ შემთხვევაში, თუ შემოტანილი საქონლის მოცულობა 3000 ლარს არ აღემატება."**

ახალი ცვლილებით, მეწარმე, რომლებიც საგადასახადო შემოწმებამდე, შემოსავლების სამსახურს დანაკარგის შესახებ წინასწარ შეატყობინებს, აღარ დაჯარიმდება.

"თუ გადასახადის გადამხდელმა დანაკლისის ან ზედმეტობის შესახებ ინფორმაცია ასახა საგადასახადო ანგარიშგებაში, ანუ მეწარმემ საგადასახადო ორგანოს ინვენტარიზაციისა და საგადასახადო შემოწმების დაწყებამდე მიაწოდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ზედმეტობა ან დანაკლისი აღიარებულია, ასეთ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური რაიმე იძულებით ღონისძიებას არ გამოიყენებს," - განმარტავს გია ხუროშვილი.

ამასთან, ახალი კანონპროექტით, იზრდება იმპორტის გადასახადის გარეშე შემოსატანი პროდუქციის არეალი. კერძოდ, აქციზური მარკებით ნიშანდების ვალდებულებისაგან და იმპორტის გადასახადისგან შემოსატანი პროდუქციის მოცულობა ორმაგდება.

"თუ აქამდე ნებადართული იყო 2 ლიტრი სასმელის შემოტანა, საკანონმდებლო ინიციატივით ის 4 ლიტრამდე იზრდება. როდესაც ადამიანი "დუტიფრიში", ან სადმე უცხოეთში შეიძენს კონიაკს ან ვისკს, დღემდე მისთვის 2 ლიტრის შემოტანის უფლება არსებობდა აქციზური მარკის ნიშანდებისა და იმპორტის გადასახადის გარეშე, თუმცა ამიერიდან ეს ზღვარი 4 ლიტრამდე იზრდება. იმავდროულად, თუ ნებადართული იყო 20 კოლოფი სიგარეტის, ანუ ორი ბლოკი სიგარეტი შემოტანა, ეს ზღვარი 4 ბლოკამდე იზრდება," - აცხადებს მთავრობის საპარლამენტო მდივანი.

ამ ცვლილებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ისიც, რომ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, სხვადასხვა კომპანიების მიერ საქონლის თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად გასხვისება, საგადასახადო ორგანოს მხრიდან ეჭვქვეშ აღარ იქნება დაყენებული და კომპანიას შესაძლებლობა ექნება პროდუქციის ნაწილი თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაყიდოს.

"არის შემთხვევები, როდესაც საქონლის გაყიდვა თვითღირებულებაზე დაბალ ფასად ხდება. როდესაც აუდიტორი კომპანიაში შედის და ხედავს, რომ საქონელი გაყიდულია თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, რა თქმა უნდა, ეს მათ ეჭვს იწვევს. ჩვენ მოვისმინეთ სხვადასხვა მეწარმეების არგუმენტები. უნდა ითქვას, რომ არის შემთხვევები, როდესაც არის ფასდაკლებები, რომლებსაც მოქალაქეები ელოდებიან. შეიძლება მაღაზიამ კოლექციის ბოლო ნაწილი მართლაც გაიყიდოს თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად, ასეთ შემთხვევეაში კოდექსი აღარ იქნება ასეთი ხისტი. კოდექსში გაკეთება სპეციალური ჩანაწერი და ამიერიდან შესაძლებელი გახდება საქონლის რაღაც ნაწილის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გასხვისება," - განმარტავს გია ხუროშვილი და იქვე აღნიშნავს, რომ საგადასახადო კოდექსის დღევანდელ ვარიანტში ფასდაკლებებისა და პროდუქციის დაბალი ფასით გაყიდვის შემთხვევებისთვის, კოდექსი მოქნილი არ იყო, რაც ბევრ გაურკვევლობებს იწვევდა.

Vox Populi

შეკითხვები "სამართალს"

რუბრიკა Vox populi სისტემატურად შემოგთავაზებთ მკითხველთა წერილებს, მოსაზრებებს და შეკითხვებს. ამჯერადაც, "სამართალი" პასუხებს გასცემს სხვადასხვა შინაარსის შეკითხვებს.

კახა მეტრეველი, 37 წლის:

- უნდა იყოს თუ არა ინფორმირებული ყველა პატიმარი იმ დაწესებულების დებულებით, რომელშიც ის იმყოფება?

- დაწესებულების დებულება, დისციპლინური დარღვევებისა და შესაბამისი სახდელების დეტალური ჩამონათვალით, ყველა მსჯავრდებულისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი

ზაზა ვადაჭკორია, 64 წლის:

- აქვს თუ არა მოსამართლეს უფლება, კონფლიქტში შევიდეს სასამართლო პროცესზე დამსწრესთან ?

- მოსამართლემ უნდა ისაუბროს ოფიციალური სტილით, პრინციპული ტონით და საჭიროების მიხედვით იყოს ზომიერად მკაცრი, მაგრამ არ შელახოს მოქალაქის ღირსება. მოსამართლემ ყურადღებით უნდა მოუსმინოს მოქალაქეებს და არ გააწყვეტინოს მათ სიტყვა. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მოქალაქის სიტყვა შეუსაბამოა საქმის არსთან ან მიზნად ისახავს საქმის განხილვის გაუმართლებელ გაჭიანურებას.

მოსამართლე არ უნდა შევიდეს მოქალაქესთან კონფლიქტში და არც ფამილარული დამოკიდებულება არ უნდა გამოამჟღავნოს. მოსამართლემ უნდა ისაუბროს ლაკონურად და მარტივი ენით, რათა მოქალაქისათვის ნათელი იყოს მისი კითხვის, მოთხოვნისა თუ გადაწყვეტილების შინაარსი.

თენგიზ ქორიძე, 25 წლის:

- რა უფლებამოსილება აქვს სააპელაციო სასამართლოს, შეუძლია თუ არა მთლიანად გააუქმოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენი?

- სააპელაციო სასამართლო განაჩენით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს; აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს;

ცვლილება შეაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში; უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს უფლება არა აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად, გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან მიიღოს მსჯავრდებულისთვის არასასიკეთო სხვა გადაწყვეტილება, თუ საქმე განიხილება მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის საჩივრის საფუძველზე და ბრალდების მხარეს საჩივარი არ შეუტანია.

სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან სხვა გზით გაუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

საგამომცემლო ჯგუფი:
მარიამ ბერიშვილი
ხათუნა ბარათაშვილი
თამარ გურული
ტელ: 899 97 72 12
899 43 74 03.
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com